



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

საქმე №1გ/643
04 ივლისი, 2014 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ზადრიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის **ქ. ტ.-ს** საჩივრის დასაშვებობის საკითხი ბრალდებულ **ი. მ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს პირველი განყოფილება იძიებს სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმეს **ი. მ.-ს** მიმართ.

აღნიშნულ საქმეზე, 2014 წლის 27 ივნისს, **ი. მ.-ს** წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2014 წლის 29 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა **ქ. ტ.-მ** და ითხოვა ბრალდებულ **ი. მ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სიხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე შორენა გუნცაძის 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულ **ი. მ.-ს** მიმართ არ იქნა გამოყენებული არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება.

განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა **ქ. ტ.-მ**, რომელიც ითხოვს მის გაუქმებას და ბრალდებულ **ი. მ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით



გირაოს გამოყენებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო გირაოს თანხის გადახდის ვადად 30 დღის განსაზღვრას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ ბრალდებულს ბრალად ედება ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩადენა, რაც მის არაკანონმდობრივ პიროვნულ მახასიათებელზე მიუთითებს; იგი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და დატოვა მძიმედ ნაცემი დაზარალებული; ბრალდებულს გააჩნია საზღვარგარეთ კავშირები; ბრალდებულის პიროვნებისა და კანონისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან შესაძლოა კვლავ ჩაიდინოს დანაშაული, მიიმალოს და ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე, რაც ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას (იხ. საჩივარი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საჩივრის არსებითად განხილვამდე, მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს და წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საჩივარი დასაშვებია მაშინ, თუ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა ან არსებული მოთხოვნების დარღვევა მისი მიღებისას ანდა საჩივარში მითითებულია არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ და რაც გავლენას იქონიებდა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.

შევამოწმე საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და მიმაჩნია, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

განჩინების გაცემისას პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გააანალიზა საქმის მასალები და დაასკვნა, რომ არ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის საჭირო ფორმალური საფუძველი.

პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით და კანონის მოთხოვნათა არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

განჩინებაში მოსამართლემ იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძველებთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ბრალდებულ ი. მ.-ს ბრალი ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულში, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, არ არის წარსულში ნასამართლევი ან ადმინისტრაციულსახდელდადებული, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტი ამოწურულია და შერიგებული არიან, რაც გამორიცხავს დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და დაზარალებულზე ზემოქმედების მოხდენის ვარაუდს. ასევე



გამორიცხულია მიმალვის შესაძლებლობაც, ვინაიდან ბრალდებულის მიერ გამოძიების ორგანოსა და სასამართლოსთვის თავის არიდების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მას ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რაც სასჯელის სახით საერთოდ არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და ამდენად, მიმალვის ვარაუდი აბსტრაქტულია. ბრალდებული არ მუშაობს, ჰყავს პენსიონერი მშობლები, უსახსრობის გამო არ დათანხმდა საპროცესო შეთანხმების პირობებს, რომელიც ითვალისწინებდა მისთვის ჯარიმის სახით 1000 ლარის დაკისრებას. მის მიერ გირაოს გადაუხდელობა გამოიწვევს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლას, რაც მიზანშეუწონელია (იხ. განჩინება).

საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება კანონიერია, დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი. მოსამართლემ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-198-ე, 206-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით განიხილა, გამოიკვლია და შეაფასა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ მითითებული საკითხები და არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, რომელთა ზეპირი მოსმენით ხელახლა შეფასების აუცილებლობა არ არსებობს. საჩივარში აღნიშნული არ არის თუ კანონის რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას, არ არის დასაბუთებული გასაჩივრებული განჩინების დებულებათა მცდარობა და არც რაიმე ისეთი გარემოება იკვეთება, რაც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას განაპირობებს. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარი დაუშვებელია.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-6, მე-7 ნაწილებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. პროკურორის საჩივარი ბრალდებულ **ი. მ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, **ცნობილ იქნეს დაუშვებლად;**
2. განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე
გელა ბადრიაშვილი